<u>დანართი 1</u>

ვებ-პროტალი - ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და თვითმმართველობების ბიუჯეტების გამჭირვალობის ზრდა

გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროგრამა „კარგი მმართველობა ადგილობრივი განვითარებისთვის“ (GGLD) იწვევს დაინტერესებულ ორგანიზაციებს საკონსულტაციო მომსახურების შესახებ განაცხადების მისაღებად:

1. **პროგრამის მოკლე აღწერა**

პროგრამის სახელწოდება: კარგი მმართველობა ადგილობრივი განვითარებისათვის სამხრეთ კავკასიაში.

მიზანი: საჯარო დაწესებულებები მიერ მოქალაქეებზე ორიენტირებული მომსახურების

მიწოდება მდგრადობის, ეკოლოგიური პირობების გათვალისწინებითა და დემოკრატიის, სამართლებრივი სახელმწიფოსა და გამჭვირვალობის პრინციპების შესახებად აუმჯობესებს ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე მოქალაქეების ცხოვრების პირობებს.

ძირითადი მოქმედების არეალები:

ა) სამართლებრივი და ინსტიტუციონალური ჩარჩო-პირობების გაუმჯობესება საჯარო დაწესებულებების მოქალაქეებზე ორიენტირებული მომსახურებებისათვის.

ბ) მთავარი აქტიორების შესაძლებლობების გაძლიერება მოქალაქეებზე ორიენტირებული მომსახურებებისა და მათი დაფინანსებისათვის.

გ)მექანიზმების გაძლიერება მომსახურებების მიწოდებაში მოქალაქეთა ჩართულობისათვის.

დ) რეგიონული განვითარების მიდგომების, ინსტიტუციებისა და ინსტრუმენტების გაძლიერება.

ე) ქვეყნებს შორის გამოცდილების გაზიარება

პროგრამის ხანგრძლივობა: 01/04/2020 – 31/03/2023

2. **ზოგადი ინფორმაცია და მომსახურების მიზანი**

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების მიერ მუნიციპალური ფინანსების მართვის გაუმჯობესების მიზნით უკვე განხორციელდა და მომავალშიც დაგეგმილია საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილებაზე დაფუძნებული სხვადასხვა სიახლეების დანერგვა. მათ შორის, ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს მუნიციპალური ბიუჯეტების გამჭირვალობის, ტრანსფარანტულობის ზრდა.

აღნიშნული, სხვა აქტივობებთან ერთად ასევე, გულისხმობს მოსახლეობისათვის, დაინტერესებული პირებისა და უბრალოდ რიგითი მოქალაქეებისათვის მუნიციპალიტეტის საჯარო ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ზრდას. ამასთან მნიშვნელოვანია 2 ფაქტორის გათვალისწინება:

1. ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა უნდა ხორციელდებოდეს ოპერატიულად, ისე რომ დაინტერესებულ პირს არ უხდებოდეს დამატებითი ადმინისტრაციული ბარიერების გადალახვა.
2. მოწოდებული ინფორმაცია იყოს მაქსიმალურად იოლად აღსაქმელი, მარტივ ენაზე გადმოცემული ისე, რომ დაინტერესებული პირს არ ჭირდებოდეს სპეციფიკური ცოდნა მისი აღქმისა და შემდგომი გამოყენებისთვის.

დღეის მდგომარეობით ავტონომიური რესპუბლიკები და ყველა მუნიციპალიტეტი საკუთარი ბიუჯეტების შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვა-ანგარიშგებას ახორციელებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ელექტრონული სისტემების eBudget და eTreasury მეშვეობით. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო რეალურ რეჟიმში ფლობს ინფორმაციას ავტონომიური რესპუბლიკის, მუნიციპალიტეტისა და მათ მიერ დაფუძნებული იურიდიული პირის (გარდა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებისა) საბიუჯეტო ანგარიშზე მიღებული და გაცემული ფინანსური რესურსების შესახებ.

ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და თვითმმართველობების ბიუჯეტების გამჭირვალობის ზრდის მიზნით საქართველოს ფინანსთა სამინისტრო გეგმავს საკუთარ ვებ გვერდზე www.mof.ge გააკეთოს პორტალი სადაც რიგითი მოქალაქისათვის გასაგებ, მარტივ ენაზე წარმოდგენილი იქნება ანალიტიკური (როგორც გრაფიკული ისე ციფრობრივი) ინფორმაცია ავტონომიური და მუნიციპალური ფინანსების შესახებ.

ამ მიზნით გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ) პროგრამა „კარგი მმართველობა ადგილობრივი განვითარებისთვის“ (GGLD) ფარგლებში შეარჩევს პრეტენდენტს, რომელიც საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთვის შეასრულებს ქვემოთ წარმოდგენულ სამუშაოებს.

3. სამუშაოს მიმღების მიერ შესასრულებელი ამოცანები

სამუშოს მიმღებმა უნდა უზრუნველყოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ოფიციალურ გვერდთან www.mof.ge დაკავშირებული ვებ-პლატფორმის შექმნა, სადაც წარმოდგენილი იქნება არანაკლებ შემდეგი ანალიტიკური ინფორმაცია:

- ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელების მოცულობები, წარმოდგენილი 2015 წლიდან მიმდინარე პერიოდამდე დინამიკაში. მათი წილი საქართველოს ნაერთ ბიუჯეტში;
- ყველა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელების მოცულობები, წარმოდგენილი 2015 წლიდან მიმდინარე პერიოდამდე დინამიკაში. მათი წილი საქართველოს ნაერთ ბიუჯეტში;
- ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობები და გადასახდელები საკუთარი და არასაკუთარი სახსრების გამიჯვნით, წარმოდგენილი 2015 წლიდან მიმდინარე პერიოდამდე დინამიკაში;
- ყველა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები და გადასახდელები საკუთარი და არასაკუთარი სახსრების გამიჯვნით, წარმოდგენილი 2015 წლიდან მიმდინარე პერიოდამდე დინამიკაში;
- ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობები - ძირითადი წყაროების მიხედვით; გადასახდელები - ბიუჯეტით განსაზღვრული

პროგრამების მიხედვით; წარმოდგენილი 2015 წლიდან მიმდინარე პერიოდამდე დინამიკაში;

- ყველა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები - ძირითადი წყაროების მიხედვით; გადასახდელები - ბიუჯეტით განსაზღვრული პრიორიტეტების მიხედვით; წარმოდგენილი 2015 წლიდან მიმდინარე პერიოდამდე დინამიკაში;
- ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტის მაჩვენებლები „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2019 წლის 5 აპრილის #99 ბრძანების მიხედვით. კერძოდ, ხარჯების ეკონომიკური და ფუნქციონალური კლასიფიკაციის შესაბამისად. წარმოდგენილი 2015 წლიდან მიმდინარე პერიოდამდე დინამიკაში;
- ყველა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2019 წლის 5 აპრილის #99 ბრძანების მიხედვით. კერძოდ, ხარჯების ეკონომიკური და ფუნქციონალური კლასიფიკაციის შესაბამისად. წარმოდგენილი 2015 წლიდან მიმდინარე პერიოდამდე დინამიკაში;
- ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტის მიერ სხვა დონის ბიუჯეტიდან მიღებული ტრანსფერები. მათ შორის, ტრანსფერები კლასიფიცირებული იქნება სახეობების და მოცულობების მიხედვით. წარმოდგენილი იქნება მათი წილი ავტონომიური რესპუბლიკის ჯამურ რესპუბლიკურ ბიუჯეტში. ინფორმაცია მოცემული იქნება 2015 წლიდან მიმდინარე პერიოდამდე დინამიკაში;
- ყველა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მიერ სხვა დონის ბიუჯეტიდან მიღებული ტრანსფერები. მათ შორის, ტრანსფერები კლასიფიცირებული იქნება სახეობების და მოცულობების მიხედვით. წარმოდგენილი იქნება მათი წილი მუნიციპალიტეტის ჯამურ ბიუჯეტში. ინფომაცია წარმოდგენილი 2015 წლიდან მიმდინარე პერიოდამდე დინამიკაში;
- მუნიციპალიტეტის ექსკლუზიური უფლებამოსილების (დასუფთავების ღონისძიბები, სკოლამდელი აღზრდა და სხვა) განხორცილებისათვის ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებები, გაანგარიშებული ერთ სულ მოსახლეზე, თითოეული მუნიციპალიტეტის მიხედვით.
- სხვა ანალიტიკური ინფორმაცია ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და თვითმმართველობების ბიუჯეტების შესახებ.

ანალიტიკური ინფორმაციის მომზადებისას გათვალისწინებული უნდა იყოს შემდეგი ტექნიუკური ამოცანების გადაწყვეტა:

- შესაძლებელი უნდა იყოს ყველა ზემოთ წარმოდგენილი მონაცემების ურთიერთშედარება ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და სხვადასხვა მუნიციპალიტეტების მიხედვით.
- წარმოდგენილი ინფორმაციის განახლება უნდა მოხდეს ოპერატიულად თვის დასრულებიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში;
- უნდა შეიქმნას ინფორმაციის დამუშავების მექანიზმები ფინანსთა სამინისტროში არსებული ტექნოლოგიების გამოყენებით. მაგ. MSSQL მონაცემთა ბაზების საინტეგრაციო პაკეტები (SSIS) არსებულ ბაზებიდან საჭირო ინფორმაციის მისაღებად.
- უზრუნველყოფილი უნდა იყოს ინფორმაციის გავრცელების მსოფლიოში მიღებული მექანიზმების დანერგვა, მაგ. ვებ სერვისის მეშვეობით ან/და machine-readable ფორმატის ფაილების ვებ სატზე განთავსება.

- დაინტერესებული პირებისთვის უზრუნველყოფილი უნდა იყოს (ყოველკვარტალურად ან ყოველთვიურად) ინფორმაციის ინტეგრაციისთვის საჭირო ტექნიკური დოკუმენტაცია.
- პლატფორმის თითოეული მოდულის და მის ფარგლებში გამოყენებული ტექნოლოგიები უნდა შეთანხმდეს სსიპ - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ანალიტიკურ სამსახურთან;

პროექტის დასრულების შემდგომ მის ადმინისტრირებას განახორციელებს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

4. სამუშაო შესრულების სავარაუდო პერიოდი და ანგარიშგება

სამუშაოს დაწყება: 01.04.2021

სამუშაოს დასრულება 01.07.2021

ანგარიშგება მოხდება საბოლოო ანგარიშის წარმოდგენის დროს.

საბოლოო გადახდა განხორციელდება საბოლოო ანგარიში წარმოდგენის საფუძველზე(სავარაუდოდ 01.07.2021). საბოლოო ანგარიში უნდა მოიცავდეს საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვის შესახებ განცხადებით, ასევე სამუშაო გეგმით განსაზღვრული ყველა ამოცანის შესრულების შესახებ ინფორმაციას.

შესრულებული სამუშაოს ანგარიშგება უნდა განხორციელდეს ქართულ ენაზე. შეფასების ძირითადი შემაჯამებელი ნაწილის წარმოდგენა უნდა მოხდეს ასევე ინგლისურ ენაზე.

5. სხვა საკითხები

- ყველა ზემოაღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით სამუშაოს მიმღები რეგულარულად მიაწვდის ინფორმაციას და ყველა ცალკეულ ღონისძიებას შეათანხმებს GIZ-თან.
- სამუშაო მიმღები გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებასთან (GIZ) შეთანხმების საფუძველზე პროექტის განხორციელების დროს მჭიდროდ ითანამშრომლებს და პროექტის მსვლელობის შესახებ რეგულარულ ინფორმაციას მიაწვდის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლებს.

6. განაცხადების მიღება და შერჩევა

საკონსულტაციო მომსახურების განსახორციელებლად პარტნიორის შერჩევა მოხდება კონკურსის საფუძველზე.

კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ სამეწარმეო (LLC) და არასამეწარმეო იურიდიულ პირებს (NLC, NPO), საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს/სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს.

GIZ იტოვებს უფლებას, შეამოწმოს განაცხადში მოწოდებული ინფორმაცია. არაზუსტი ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში, განაცხადი გაუქმდება.

განაცხადების შეფასება მოხდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

სამუშაოს მიღების პრეტენდენტის სამუშაო გეგმა

1. ორგანიზაციის შესაძლებლობები და გამოცდილება მსგავსი პროექტების განხორციელების კუთხით *(შემოთავაზებით უნდა დასტურდებოდეს ორგანიზაციის გამოცდილება მსგავსი დაკვეთების განხორციელების მიმართულებით);*.
2. ორგანიზაციის მიერ სამუშაოს დაგეგმვისა და სამუშაო აღწერილობით გათვალისწინებული მიზნებისა და კონკრეტული ამოცანების მიღწევის გზები, პროექტის განხორციელების სამუშაო გეგმა, რომელიც უნდა მოიცავდეს ინფორმაციას:
   - ✓ თითოეული შესასრულებელი ამოცანის (ანალიტიკური ინფორმაციის) აღწერას. როგორ მოხდება ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება, ვებ პორტალზე წარმოადგენა?
   - ✓ სხვადასხვა სიდიდის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების შემოსავლების დაჯგუფებას ისეთ კატეგორიებად, რომელთა წლების მიხედვით დინამიკაში შედარება იქნება რელევანტური;
   - ✓ სხვადასხვა სიდიდის მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების გადასახდელების დაჯგუფებას ისეთ კატეგორიებად, რომელთა წლების მიხედვით დინამიკაში შედარება იქნება რელევანტური;
   - ✓ მოცემულ პროექტთან დაკავშირებულ სხვა ისეთი ინფორმაციის მოპოვებას და წარმოდგენას, რომელიც იქნება რელევანტური და ხელს შეუწყობს ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების გამჭირვალობისა და ტრანსფარენტულობის ზრდას.
   - ✓ მონაცემების მოპოვების და განახლების მეთოდებს და ინსტრუმენტებს.
   - ✓ ხედვას ინფორმაციის დამუშავებისთვის, ვებ პორტალზე განთავსებისთვის და მომხმარებლების სისტემებთან ინტეგრაციისთვის საჭირო პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენების შესახებ.
3. სამუშაოს განხორციელების გეგმა ამოცანების და აქტივობების მიხედვით გადანაწილებული სამუშაო დღეების რაოდენობების მითითებით;
4. წარმოდგენილი ექსპერტების მინიმუმ 5 წლიანი გამოცდილება მსგავსი პროექტების განხორციელების კუთხით. მსგავსი პროექტების განხორციელების კუთხით გამოცდილება უნდა დასტურდებოდეს წარმოდგენილი რეზიუმეებით (CV-ებით);
5. ბიუჯეტის ხარჯთეფექტურობა.

შეფასების კრიტერიუმებთან დაკავშირებით უფრო დეტალურად იხ. თანდართული შეფასების სქემა.

განაცხადის წარდგენა

განაცხადის მომზადება უნდა მოხდეს ინგლისურ და ქართულ ენაზე.

შემოთავაზების შინაარსობრივი ნაწილი უნდა მოიცავდეს შედეგ ინფორმაციას და არ უნდა შეიცავდეს ფასს. *(შემოთავაზებული სტრუქტურა არის სარეკომენდაციო ხასიათის):*

1. თავფურცელი

ორგანიზაციის დასახელება და რეგისტრაციის ნომერი. იურიდიული მისამართი, ტელეფონის ნომერი, ელ. ფოსტის მისამართი, ორგანიზაციის ხელმძღვანელი, ორგანიზაციის ხელმძღვანელის ხელმოწერა და ბეჭედი.

2. პროექტის დასახელება და დაწყება-დასრულების ვადა (თვე/წელი-თვე/წელი)

2.1 პროექტის აღწერა

2.2. პროექტის მიზნები და ამოცანები, მათი განხორციელების გეგმა (შესაბამისობაში უნდა იყოს სატენდერო განაცხადში მოცემულ სამუშაო აღწერილობასთან)

2.3 პროექტით გათვალისწინებული ღონისძიებები და შესრულების განრიგი

#	ღონისძიება	მარტი	აპრილი	მაისი	კომენტარი
1	X				*[მიუთითეთ საჭიროებისამებრ]*
2	Y				
3	Z				
…	…				

2.4 პროექტში ჩართული პირები და მათი ფუნქციები

ჩამოთვალეთ იმ პირების ვინაობა და ფუნქცია ვინც მოიაზრება პროექტის განხორციელებაში და ასახულია შესაბამისად ბიუჯეტში.

2.5. დანართი

განაცხადს თან უნდა ერთვოდეს პროექტის განხორციელებაში გათვალისწინებული პირების რეზიუმეები და მომსახურების განხორციელების შესაძლებლობის დასაბუთება ორგანიზაციის მიერ.

დანართის სახით ასევე შესაძლებელია დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა, რასაც განმცხადებელი მიიჩნევს რელევანტურად.

ფინანსური შემოთავაზება უნდა მოიცავდეს შედეგ ინფორმაციას:

ბიუჯეტი (ლარში, დღგ-ს გარეშე)

#	კატეგორია	ერთეული	ერთეულის რაოდენობა	ერთეულის ფასი (GEL)	საერთო ღირებულება (GEL)	განმარტება
1	ექსპერტის ჰონორარი**					
1.1		[თვე ან კაც-დღე]				
1.2						
1.3						
	...					
	ჯამი					
2	სხვა ხარჯი (საჭიროებისამებრ)					
	ჯამი					
	სულ ჯამი					

ბიუჯეტში არ შეიტანოთ ის ხარჯი, რაც არ შეესაბამება პროექტით გათვალისწინებულ ღონისძიებებს. ასევე, არ ანაზღაურდება ორგანიზაციის მიმდინარე ხარჯები.

ექსპერტის ჰონორარი უნდა მოიცავდეს ყველა ხარჯს, მათ შორის სხვა პერსონალის ხარჯებს, კომუნიკაციის, ანგარიშგების და ასევე ყველა შესაძლო დამატებით ხარჯს, რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს მოგების, ინტერესებისა და რისკების ფაქტორებთან. (როგორც მითითებულია ხელშეკრულების ზოგადი პირობების 10.2 მუხლში/ დანართი 4.

***მითითებული ჰონორარები უნდა მოიცავდეს საშემოსავლო გადასახადისა და საპენსიო შენატანის ხარჯებს.*